

5:4 - შესანიშნავი გამარჯვება

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 25 ივლისი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) 4:5 (3:3).

“სპარტაკი”: ივაკინი, კრუტიკოვი, მასლიონკინი, სოლდატოვი, კორნეევი, ნეტო, მიშინი (კრეკოვი), ისაევი, ხოლმოგოროვი, მოზერი, ილინი.

“დინამო”: კავაზაშვილი, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, იამანიძე, ზეინკლიშვილი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ლოლობერიძე, მესხი.

მსაჯი ე. ოდინცოვი (ლენინგრადი).

ამ მატჩს მოსკოვში დიდი ინტერესით მოელოდნენ. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ მოსკოვის “სპარტაკი” და თბილისის “დინამო” ახლო მეზობლები არიან გათამაშების ცხრილში და 2 ქულა თითოეული მათგანისათვის ერთგვარი ტრამპლინია, რომელიც მაღლა აისვრის გუნდს. ინტერესი მდგომარეობდა მასში, რომ თბილისელებმა ამას წინათ საუკეთესო თამაში აჩვენეს მოსკოვში არმიელებთან და გაიმარჯვეს კიდევ, ხოლო სპარტაკელთაგან მათი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები ყოველ მატჩში ელიან “დიდ გარდატეხას” და ბევრი დარწმუნებული იყო, რომ ჩემპიონი და თასის მფლობელი სწორედ 25 ივლისის მატჩიდან დაიწყებდა წინსვლას.

თამაშის დასაწყისი თითქოს ამართლებდა ამ პროგნოზს. “სპარტაკი” მოქმედებდა ნამდვილი ჩემპიონის სტილში: სწრაფად, გეგმაზომიერად, ზუსტი კომბინაციებით. მოსკოველებმა დაცვაში ყურადღების ობიექტად მოწინააღმდეგის ცენტრი და მარცხენა ფრთა აირჩიეს და სავსებით სამართლიანადაც, ვინაიდან, თბილისელთა მთავარი ძალა თავდასხმაში სწორედ ეს რგოლია. მაგრამ თამაშის შემდგომმა მსვლელობამ ცხადყო, რომ ასეთ ვითარებაში “დინამოს” შეუძლია გენერალური დარტყმის მიმართულებათა ცვლა. დინამოელებმა ასეთი ცვლა მოახდინეს და თამაშის ბედი (ყოველ შემთხვევაში, შეტევის დამთავრება მაინც) მარჯვენა ფლანგზე გადაწყვიტეს, სადაც საუკეთესო მოთამაშისა და მეზობლის თვისებები გამოავლინა ბარქაიამ.

შეხვედრის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა თბილისელებს. მათს დაცვაში რამდენიმე შეცდომას და ურთიერთმოქმედების დარღვევას ჰქონდა ადგილი, რაც დაუყოვნებლივ იქნა გამოყენებული სპარტაკელთა მიერ: მოზერმა ორი ბურთი გაიტანა “დებიუტშივე” და, მართალია, მელაშვილმა სულ მალე შეძლო ერთი გოლის გათანაბრება, 25-ე წუთზე ისაევმა ანგარიში 3:1-მდე აიყვანა.

“სპარტაკის” მექანიზმი თითქოს შეუცდომლად მოქმედებდა და მატჩის შედეგში ბევრს ეჭვი არ ეპარებოდა, როცა თბილისელებმა შეძლეს ინიციატივის ხელში აღება. “დიდი კონტრშეტევა” დაიწყო მარცხენა ფლანგიდან, ხოლო მისი დამთავრება სრულიად მოულოდნელად მოხდა მარჯვენა ფრთაზე, სადაც ბარქაიამ ტაიმის ბოლო წუთებზე ზედიზედ ორი ეფექტური გოლი გაიტანა - 3:3.

ამრიგად, მეორე ტაიმში ყველაფერი თავიდან იწყებოდა, მაგრამ ამჯერად სულ საწინააღმდეგო სიტუაციაში. თბილისელებმა მძლავრი შეტევით დაიწყეს თამაში და მე-7 წუთზე კვლავ ბარქაიამ (!) თავისი გუნდის მხარეს გადახარა სასწორი - 4:3.

დინამოელთა იერიში არ წყდებოდა. 26-ე წუთზე იამანიძის საუკეთესო გარღვევა მარჯვენა მხრიდან დამთავრდა ძლიერი დარტყმით. ბურთი მოხვდა ძელს, მაგრამ მას მიუსწრო ლოლობერიძემ და თითქმის შეიტანა იგი კარში - 5:3.

თბილისის დინამოელებმა შესანიშნავი გარდატეხა შეიტანეს თამაშში და ნამდვილი ტემპერამენტიანი, მძლავრი ფეხბურთი აჩვენეს. მაგრამ, ჩემი აზრით, გუნდი ადრე გადავიდა დაცვაზე. სპარტაკელებს დასაკარგი უკვე აღარაფერი ჰქონდათ და როგორც კი იგრძნეს ოდნავი შვება საკუთარ ნახევარზე, მთელი შემადგენლობით წავიდნენ წინ, უკანასკნელ შტურმზე. თავდამსხმელებს შეუერთდნენ მასლიონკინი და ნეტოც, და რომ "დინამოს" დაცვისა და განსაკუთრებით მეკარე კავაზაშვილის თავგანწირული თამაში არა, შეიძლება მოსკოველებს გაეთანაბრებინათ კიდეც ანგარიში. "სპარტაკის" მაქსიმუმი იყო ის, რომ ნეტომ 37-ე წუთზე კიდეც ერთი ბურთი გაიტანა. მაგრამ ეს იყო ძალების უკანასკნელი დამაბვა.

თბილისის "დინამომ" შესანიშნავად მოიგო ეს მეტად ძნელი და საპასუხისმგებლო მატჩი - 5:4

(ამავე გუნდების დუბლიორებმა ითამაშეს ფრედ - 0:0).

ვ. პავლოვი (გადმოცემულია ტელეფონით).

"ლელო", 26 ივლისი, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან"